ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,

ირაკლი შენგელიას ამომრჩევლებთან

საანგარიშო შეხვედრის

ოქმი N2

31 ოქტომბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქ. ქუთაისი, რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში, ბატონი ზვიად შალამბერიძე, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები: ბატონი ლევან სანიკიძე, ბატონი ლევან კიკნაველიძე, ბატონი ბესიკ გოფოძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი იოსებ ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი დავით ერემეიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქალბატონები: თეა ჯუღელი, მაია სიმონიძე, მაგდა კოსტავა, მანანა ჩიხლაძე, ელეონორა არჩაია; ბატონები გია ბასილაძე, თეიმურაზ ნადირაძე, ბაქარ მახარაძე, ამირან კოპალეიშვილი, ბექა ქებულაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, მერაბ ჭოხონელიძე, ზაქრო მამასახლისი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლები, ახალგაზრდები, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრები.

შეხვედრას სულ ესწრებოდა 118 ადამიანი, მათგან 75 იყო ახალგაზრდა.

შეხვედრა გახსნა და ამომრჩევლების წინაშე 2023 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ:

„მოგეხსენებათ, გასული წლის ნოემბრის თვეში ჩემ მიერ ჩატარებული მუშაობის თაობაზე ანგარიში წარვუდგინე, როგორც ქალაქის საზოგადოებას, ასევე საკრებულოს. 2022 წლის ნოემბრიდან დღემდე ერთი წელია გასული. ადგილობრივი თვითმმართველობა, საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი რგოლი, ხალხის

მიერ არჩეული ინსტიტუცია, ანგარიშვალდებულია მოქალაქეების წინაშე. მმართველობის ღიაობა და გამჭვირვალობა არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

საანგარიშო პერიოდში შევეცადე მეტი ყურადღება დამეთმო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით საკრებულოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის; მეტი ძალისხმევა გამომეჩინა საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.

რაც შეეხება საკრებულოს ორგანიზაციული მიმართულებით გაწეულ საქმიანობას, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. გამომდინარე აქედან, დადებითი ტენდენციები შეინიშნება საკრებულოს ორგანოთა მიერ სხდომების მოწვევისა და ჩატარების პროცედურების დაცვის საქმეში.

მნიშვნელოვნად დაიხვეწა კომისიებისა და ფრაქციების მიერ სხდომების ჩატარებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების მიღების პრაქტიკა.

საკრებულოს კომისიების მიერ შემუშავებული დასკვნების საფუძველზე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკრებულოს მიერ მიღებული აქტების ხარისხი. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების თაობაზე ზედამხედველობის ორგანოსგან - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისგან, საკრებულოს შენიშვნა არ მიუღია აქტებში დაშვებული შეცდომების გასწორების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში სერიოზული ყურადღება მიექცა საკრებულოს რიგითი და რიგგარეშე სხდომების მაღალორგანიზებულ დონეზე მომზადებასა და ჩატარებას. 2022 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარებულია საკრებულოს 18 სხდომა. მათ შორის 11 რიგითი, 7 რიგგარეშე. დაიხვეწა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებისა და მიღებული გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოქვეყნების პრაქტიკა. საკრებულოს ყურადღების არეშია სხდომების მომზადებისა და ჩატარების პროცესში საჯაროობის პრინციპის დაცვა. უზრუნველყოფილია სხდომებზე მოწვეულ პირთა და სხდომებში მონაწილეობის მსურველთა დასწრება. სხდომები გადაიცემა ტელე-რადიო კომპანია „რიონის" ეთერით, პირდაპირი ტრანსლაციით. სხდომების მოწვევისა და მათი მიმდინარეობის

თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება ადგილობრივი თვითთმმართველობის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ სხვადასხვა დროს განიხილა 126 საკითხი, მიღებულ იქნა 124 სამართლებრივი აქტი. განხილულ საკითხთა შორის 36 საკითხი წარმოდგენილია საკრებულოს წევრთა ინიცირებით.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, ინსტიტუციური საქმიანობის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე წარმოვადგინე სამართლებრივი აქტის 9 პროექტი და ბიუროს სხდომის საოქმო გადაწყვეტილების 19 პროექტი; დავსვი 20 შეკითხვა სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით; 47 მოსაზრება, 44 განცხადება და 54 განმარტება გავაკეთე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის მაისის თვეში საკრებულომ მიიღო ნორმატიული აქტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ", რომლის მიზანია, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე საკრებულოს წევრის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მისთვის ქცევის მაღალი ეთიკური სტანდარტების განსაზღვრის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების, საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობების ღირსეულად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულების ხელშეწყობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ამაღლება, საკრებულოს წევრის რეპუტაციის, პატივისა და ღირსების დაცვა. ვფიქრობდით, რომ ეს ერთგვარი დეკლარირება იქნებოდა ამ ნორმების, და არა ვთქვათ კონკრეტული დეპუტატების დასჯის მექანიზმები. თუმცა სამწუხაროდ, ოპოზიციურმა ნაწილმა, კერძოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციამ არ მოიწონა ეს ეთიკის ნორმები და მხარი არ დაუჭირა მის დამტკიცებას.

აღსანიშნავია, რომ საკრებულომ მიმდინარე წლის სექტემბერში ცვლილება შეიტანა „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M^3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში,

რომლითაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფის უფასო სარგებლობის უფლება მიეცათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს. ეს ინიციატივა ეკუთვნოდათ სკოლის მოსწავლეებს და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ელენეს, რომელიც 36-ე საჯარო სკოლის მოსწავლეა და საერთო ჯამში მინდა, მადლობა გადავუხადო ადგილობრივ ხელისუფლებას, ბატონ იოსებ ხახალეიშვილს, იმიტომ რომ ის პროცესი, რომელიც ინიცირებული იყო ახალგაზრდებისგან და მოქალაქეებისგან, სწორად იქნა აღქმული და ჩვენც მხარი დავუჭირეთ აღნიშნულ საკითხს.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცებისა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხებს.

რიგით მე-14 სხდომაზე საკრებულომ მიიღო დადგენილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც საბოლოოდ დაკორექტირდა გასული წლის ბიუჯეტი. ამავე სხდომაზე განხილულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელი განსაზღვრული იყო 101 484,7 ათას ლარით. დღეისათვის კი, მისი მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამჟამინდელი მდგომარეობით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის მთლიანმა ასიგნებამ 129981.8 ათასი ლარი შეადგინა. გამომდინარე აქედან, საგრძნობლად გაიზარდა ინფრასტრუქტურის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება.

საკრებულომ, საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ბიუჯეტის შესრულების კონტროლისა და მისი შესრულების შეფასების საკითხებს. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე

განხილვის შემდეგ, საკრებულომ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კარგა ხანია, დაწყებულია კამპანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე. საგულისხმოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აქტიური მუშაობა წარიმართა ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც საქმიანი შეხვედრები მოეწყო ქალაქის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქალაქის მოსახლეობასთან, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს ქალაქის მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტის მიღების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ საკრებულომ საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ყურადღება მიაპყრო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების შემუშავებასა და სამთავრობო კომისიაში წარდგენას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე, საკრებულომ სხვადასხვა დროს მოიწონა 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების 64 საპროექტო წინადადება, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქში არსებული მრავალსართულიანი ბინების ფასადების, სადარბაზოებისა და ლიფტების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკვერებისა და ღვარსადენი ქსელების რეაბილიტაცია და სხვა.

საკრებულოს თანადგომითა და მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქალაქის მასშტაბით, საავტომობილო და ქვეითთა მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განახლება. არსებული შუქნიშნების ნაცვლად, მოეწყო ადაპტირებული შუქნიშნები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა სხვადასხვა ქუჩის გზებს, სანიაღვრე ქსელებს.

დასრულდა დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 100 საფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) მოწყობა.

დასრულდა საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია ახალგაზრდობის, რუსთაველისა და ავტომშენებლის გამზირებზე.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები აღიჭურვა ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით. განხორციელდა მგზავრთა დაზიანებული მოსაცდელი 6 ობიექტის რეაბილიტაცია.

საქართველოს მთავრობის 20.01.2023 წლის №116 განკარგულების ფარგლებში სახურავის შესაკეთებელი მასალა გადაეცა 591 ობიექტს. დასრულებულია 49 ერთეული დაზიანებული სახურავის შეკეთებითი სამუშაოები.

მიმდინარეობს ქალაქის გამწვანების, მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები.

საყურადღებოა, რომ საკრებულომ მიმდინარე წლის ივნისის რიგით სხდომაზე მოიწონა მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტი, რომლის მიღებას წინ უძღოდა დოკუმენტის პროექტის ჩამოყალიბების მოსამზადებელი პერიოდი. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის პროცესში ჩართული იყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა შესაბამისი სამსახური, მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად განისაზღვრა გაეროს მდგრადი განვითარების 12 მიზანი და 29 ამოცანა. თითოეული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა 49 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები 2030 წლისთვის.

მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რომ საკრებულომ მიიღო განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ", რომლის მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის განვითარება, მისი გამოყენებისა და განაშენიანების ზოგადი რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტის მიღება საფუძვლად დაედება მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის მიღებას.

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ახალგაზრდობის, კულტურის სფეროსა და სპორტის ღონისძიებების მხარდაჭერასა და განვითარებას.

საგულისხმოა, რომ საკრებულოს მხარდაჭერით, მიმდინარე წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში კულტურის სფეროს განვითარების

ბიუჯეტი შეადგენს 10478.8 ათას ლარს, სპორტის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 15229.4 ათასი ლარით, ახალგაზრდობის მხარდაჭერისათვის გამოყოფილია 360.0 ათასი ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რეზო გაბრიაძის წიგნი „ჩემი პატარა ქალაქი".

ქუთაისელი მხატვრების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 7 გამოფენა.

ქუთაისის თეატრების ფუნქციონირებისათვის მხარდაჭერის პროგრამის საფუძველზე მემორანდუმის ფარგლებში თანხა გამოეყო ლ.მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, მ.ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, ქუთაისის ნიღბების თეატრს, პანტომიმის თეატრს და ი.გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს. ადგილობრივი ბიუჯეტის ხელშეწყობით ჩატარდა „იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2023".

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ლიდერთა სკოლა, როკ მუსიკის ფესტივალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მიმდინარე წელს დაფინანსდა 10 ახალგაზრდული ინიციატივა. მიმდინარე წელს, სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 30 სპორტული ღონისძიება.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა - რეაბილიტაცია - ექსპლუატაციის საკითხებს. აღნიშნული მიზნით, 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 513.6 ათასი ლარი.

მოგეხსენებათ, საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია ხუთი კომისია. საყურადღებოა, რომ თითოეული კომისია საქმიანობას წარმართავს კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში, მათ მიერ ჩატარებულია 69 სხდომა. განხილულია 204 საკითხი, შემუშავებულია 204 დასკვნა, 22 რეკომენდაცია და 4 ინიციატივა. კომისიების მიერ ჩატარებული ყველა სხდომა იყო ღია და საჯარო. კომისიების სხდომების ჩაშლის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. სხდომების მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული

აღმასრულებელ ორგანოთა წარმომადგენლები. ყველა სxდომა დაოქმებულია და შედგენილია 69 სხდომის ოქმი.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 23 სხდომა, განხილული აქვს 61 საკითხი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით მომზადებული აქვს 61 დასკვნა და 21 რეკომენდაცია. მე ვფიქრობ, იურიდიულ საკითხთა კომისია ამ ნაწილში ლიდერია და არამარტო ამ ნაწილში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩატარდა კომისიის 9 სხდომა, განხილულ იქნა 24 საკითხი. შემუშავდა 24 დასკვნა და 4 ინიციატივა.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ჩაატარა კომისიის 18 სხდომა, განხილულ იქნა 100 საკითხი.

საკრებულოს საქმიანობაში აქტიურადაა ჩართული საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარებულია 8 სხდომა, განხილულია 8 საკითხი.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის მიერ მიმდინარე მოწვევის პერიოდში ჩატარებულია 11 სხდომა, განხილულია 11 საკითხი.

საკრებულოში ფრაქციების ნაწილზე ბევრს არ ვისაუბრებ, ეს არის ერთ-ერთი პოლიტიკური ფუნქციონალი და შემადგენელი საკრებულოსი, როგორც ინსტიტუციის. მე ვფიქრობ, რომ უშუალოდ ფრაქცია „ქართული ოცნება", რომელიც უმრავლესობისგან შედგება, მას გააჩნია იგივე თანმიმდევრობით საკითხები, რომელსაც განიხილავს, მათ შორის ინიციატივების სახით.

რა თქმა უნდა, საკრებულოს შემადგენლობას წარმოადგენს აპარატი და იმ საქმიანობას, რომელსაც ჩვენ ჩამოვთვლით ხოლმე, ძირითადად აპარატი წარმართავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ეხმარება საკრებულოს საქმიანობის მიზნების მიღწევაში, შესაბამისი აქტების მომზადებაში.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს

სხდომების მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების ხელშეწყობას, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მაღალ პროფესიულ დონეზე რედაქტირებას, საკრებულოს მიერ განსახილველი პროექტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, სამართლებრივი აქტების გამოცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხებს, საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმების კანონით დადგენილი წესით მომზადებასა და შედგენას, საკრებულოს სხდომების მოწვევისა და მისი საჯაროდ გამოცხადების ვადების დაცვას.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს ყველა სხდომა ჩატარებულია საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების ხელშეწყობით. განყოფილების მიერ შედგენილია საკრებულოს ბიუროს 26 და საკრებულოს სხდომის 18 ოქმი. დამუშავებული და გამოცემულია სულ 124 სამართლებრივი აქტი. მათ შორის 26 ნორმატიული და 96 ინდივიდუალური.

ადიმინისტრაციული განყოფილება მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც ემსახურება სხვადასხვა საკითხის ადმინისტრირებას. ინსტიტუციური გაძლიერებისათვის ცალკე სპეციალისტი, საჯარო მოხელე განვსაზღვრეთ, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის მომზადებასა და გაცემაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის პირველი იანვრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით შემოსულია სულ 25 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციის მიწოდების თაობაზე 210 მოთხოვნას. ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით. საანგარიშო პერიოდში, საჯარო მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა. 2023 წლის პირველი იანვრიდან 10 ოქტომბრის საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებული არ არის.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს ყველა სხდომა ჩატარებულია საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების ხელშეწყობით. განყოფილების მიერ შედგენილია საკრებულოს ბიუროს 26 და საკრებულოს სხდომის 18 ოქმი. დამუშავებული და გამოცემულია სულ 124 სამართლებრივი აქტი. მათ შორის 26 ნორმატიული და 96 ინდივიდუალური. სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს პროგრამაში ატვირთული, გამოქვეყნებულია და სარეგისტრაციო კოდი მიკუთვნებული აქვს საკრებულოს მიერ მიღებულ ყველა

ნორმატიულ აქტს. განყოფილების მიერ შემუშავებულია 145 წინადადება და რეკომენდაცია. საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მომზადებულია 21 სამართლებრივი აქტის პროექტი. საკრებულოს ბიუროსათვის შემუშავებულია 13 საოქმო გადაწყვეტილების პროექტი პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის თაობაზეც მომზადდა საკრებულოს თავმჯდომარის 13 ბრძანების პროექტი. შესაბამისად, გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის 13 ბრძანება.

საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 430 ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტი.

საანგარიშო პერიოდში, განყოფილების მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში გამოცხადდა გამარტივებული კონკურსი 2 პოზიციაზე, კონკურსის საფუძველზე ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმდა ორი პირი: ერთი - გენდერული თანასწორობის საკითხებში, ხოლო მეორე - იურიდიულ საკითხთა კომისიაში.

განყოფილების მიერ, საკრებულოს აპარატში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დახვეწის მიზნით, მათი საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის საფუძველზე და თითოეული მოხელის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, განისაზღვრა მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამა გაიარა საკრებულოს აპარატის 33-მა საჯარო მოხელემ,

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება არის ის ძირითადი განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას მოქალაქეებთან, მოსახლეობასთან, მედიასთან. მე ვფიქრობ, ის სტანდარტი, რომელიც ამ განყოფილებას გააჩნია არის მნიშვნელოვანი და საჭირო. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, მედიასთან გვქონდა ღია და გახსნილი კომუნიკაცია, გულწრფელად ვუპასუხოთ მედიის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას.

საკრებულოში წარმატებით ფუნქციონირებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელსაც 2022 წლის მარტიდან სათავეში უდგას საკრებულოს წევრი, ქალბატონი მაგდა კოსტავა. საბჭო შედგება 30 წევრისაგან. მასში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმართველობის, მედია საშუალებების, არასამთავრობო სექტორის, სამედიცინო სფეროსა და ბიზნესის წარმომადგენლები. 25 ქალი და 5 მამაკაცი. საბჭოს საქმიანობის მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, 2023 წელს, საბჭოს დებულებაში

განხორციელდა ცვლილებები, წევრთა რაოდენობის გაზრდის, ახალი წევრების მიღებისა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესის შესახებ.

საბჭო თავისის საქმიანობით, მუნიციპალურ დონეზე უზრუნველყოფს გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მანდატის ფარგლებში.

საბჭომ, მხარდამჭერ ორგანიზაციებთან ერთად, თავისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად საკუთარი პოლიტიკის, ხედვისა და მიზნების გათვალისწინებით შეიმუშავა და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინა პოლიტიკის დოკუმენტი, სტრატეგია და 2023 -2025 წლის სამოქმედო გეგმა.

გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად ახორციელებს ცნობიერების ამაღლების კუთხით აქტივობებს, თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან. საბჭო არაერთხელ იქნა მიწვეული საინფორმაციო თუ ტრენინგ კურსზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის თემატიკაზე, როგორც საუკეთესო პრაქტიკის მქონე საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს სულ ჩატარებული აქვს 8 სხდომა, რომელზეც განხილულია 18 საკითხი. ყველა სხდომა იყო საჯარო.

მინდა ყურადღება გავამახვილო თანამშრომლობის აუცილებლობაზე. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა არასამთავრობო სექტორთან. წელს გაფორმდა მემორანდუმი „USAID"-თან „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის" განხორციელებაზე, რომლიც ბიუჯეტიც დაახლოებით 21 მილიონი ლარია. პროგრამის მიზანია საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის და საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა და ადგილობრივ თვითმმართველობებში ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. პროგრამა მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ანგარიშვალდებულების გაძლიერების, ინკლუზიური და მოქალაქეზე ორიენტირებული საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების კუთხით და დახმარებას უწევს ცენტრალურ ინსტიტუტებს დეცენტრალიზაციისა და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 2022-2027 წლები.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს უშუალოდ საკრებულოს ინსტიტუციური გაძლიერება, ჩვენ ვთანხმდებით, რომ დაიხვეწოს საკრებულოს

ზედამხედველობის შესაძლებლობები და შესაბამისი მექანიზმები, რეგლამენტში შევიტანოთ ისეთი სახის ცვლილებები, რაც ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება. მათ შორის რაც გაზრის მოქალაქეთა მონაწილეობას საკრებულოს საქმიანობის ფარგლებში.

გასატარებელ ღონისძიებებს რაც შეეხება, მე ვისაუბრე იმაზე, რომ მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ დავხვეწოთ კომუნიკაცია მოსახლეობასთან, ამისათვის ჩვენ მედია საშუალებებს და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინასწარ ვუგზავნით დეტალურ ინფორმაციას საკრებულოს სხდომებისა და განსახილველი საკითხების შესახებ. ეს ინფორმაცია ჩვენს ვებგვერდზეც ქვეყნდება და ვფიქრობთ გარკვეული უკუკავშირის შესაძლებლობაც გაჩნდეს. ამისთვის საჭირო იქნება ჩვენი ვებგვერდის დახვეწა, რომელზეც ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში.

დიდი მადლობა ყურადღებისთვის, ეს იყო სულ, რაც მინდოდა მეთქვა. საკრებულოს კომპეტენციის და საქმიანობის ნაწილში გამოვხატავ მზადყოფნას ვუპასუხო თქვენს შეკითხვებს.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი, ვახო აბაშიშვილი: - „მოგესალმებით, მადლობა ანგარიშის წარდგენისათვის. მოგმართავთ ყველა იმ ქუთაისელი ახალგაზრდის სახელით, რომელიც ტექნიკური საგნებითაა დაინტერესებული, ქუთაისს სჭირდება ტექნოპარკი. თუკი იქნება მზაობა თქვენგან დაგვეხმაროთ, რადგან ტექნოპარკის არარსებობის გამო ახალგაზრდების გადინებაა ჩვენი ქალაქიდან და გთხოვთ, რომ 2024 წელს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი იყოს ეს საკითხი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „კეთილი, მადლობა კითხვისათვის. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დაახლოებით 800 000 ლარია, მიმდინარეობს ახლაც ციფრული ტექნოლოგიების ცენტრის შენობის რეაბილიტაცია, რომელიც ქალაქში მომავალ წელს უკვე გვექნება. კარგი ინიციატივაა, მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება არ იქნება საკმარისი, ხედვის ჩამოყალიბება იქნება მნიშვნელოვანი მისი განვითარებისა და შესაძლებლობების გამოვლენის მიმართულებით. ამიტომ ასეთ კარგ ინიციატივას ჩვენგან აუცილებლად ექნება უკუკავშირი."

სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში, ზვიად შალამბერიძე: - „მოგესალმებით, პირველ რიგში, ძალიან სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდები ასე აქტიურად ხართ ჩართული განხილვაში. დიდი მადლობა ბატონო ირაკლი პრეზენტაციისა და გაწეული საქმიანობისთვის. ტექნოპარკზე გეტყვით ორი სიტყვით, სულ რამოდენიმე თვეში გვექნება ტექნოპარკი, არ მინდა გავასწრო წინ მოვლენებს, ეს

იქნება სადღაც 4-5 თვეში, ეს იქნება პარლამენტის მიმდინარე ტერიტორიაზე, უკვე მიმდინარეობს სამუშაოები. შესაბამისად, ტექნოპარკით დაიწყება ის სამუშაოები, რაც ზოგადად, ჩვენს მთავრობას აქვს დაგეგმილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, იოსებ ხახალეიშვილი: - „პირველ რიგში მოგესალმებით და ძალიან მიხარია, რომ ამდენ ნაცნობ სახეს ვხედავ. რაც ბატონმა ირაკლიმ ბრძანა, სწორედ ასეა. ფალიაშვილის ქუჩაზე, ბიბლიოთეკის მიმდებარედ მიმდინარეობს ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის ცენტრის რეაბილიტაცია, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც უკვე შესაძლებელი იქნება სერტიფიცირებული კურსების გავლა."

ახალგაზრდული მუშაკი, ირაკლი თევზაძე: - „მოგესალმებით, ძალიან დიდი მადლობა ვრცელი ანგარიშისთვისა და იმ აქტივობებისათვის, რომელსაც ახორციელებთ. ჩემი კითხვა ახალგაზრდულ პოლიტიკას ეხება. ქუთაისს აქვს კარგი ახალგაზრდული პოლიტიკა და მაინტერესებს, თუკი გაქვთ ხედვა ამ პოლიტიკის განვითარებისა და აღსრულების ნაწილში და რა ინიციატივებს უნდა ველოდოთ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „ამაზე ჩვენ ვისაუბრეთ „RICDOG"-ში ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ მუშაკებთან შეხვედრის ფარგლებში. დავისახეთ ინიციატივა, რომ საკრებულოს შესაბამის დარგობრივ კომისიაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და პოლიტიკის დოკუმენტის იმპლემენტაციის ნაწილს გაუწიოს მონიტორინგი, რომ ჩვენ გვქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია, როგორ სრულდება ეს პროცესი. ამიტომ საკრებულო ამ ნაწილში თავისი რესურსით - კომისიის სახით ჩაერთვება, თუმცა ჩვენ დამატებით დაგვჭირდება დახმარება იმ ადამიანებისგან, რომელთაც აქვთ ინფორმაცია ახალგაზრდული პოლიტიკის და ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ."

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი, სოფო ილურიძე: - „დიდი მადლობა საინტერესო პრეზენტაციისათვის. ყველამ ვიცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქალაქში ახალგაზრდული სივრცეები და ჩვენ ახალგაზრდები ველოდებით ისეთ სივრცეებს, სადაც შესაძლებელი იქნება, როგორც არაფორმალური განათლების მიღება, ასევე გართობა და ინტერესების დაკმაყოფილება. მაინტერესებს რაიმე მსგავსი ახალგაზრდული სივრცის მოწყობა იგეგმება თუ არა ჩვენს ქალაქში?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „ეს საჭიროება ჩვენ კარგად გვესმის, ვისაუბრეთ კიდევაც ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ უნდა ვიპოვოთ საუკეთესო გამოსავალი თუ სად განთავსდება ეს სივრცე, რეალურად, ასეთ სივრცე ქალაქში არსებობდა, მაგალითად, კოლეჯ „იბერიის" შენობაში, მაგრამ ახალგაზრდებისათვის გეოგრაფიული მდებარეობის გამო

ხელმისაწვდომი არ იყო. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენ რამოდენიმე საკითხს განვიხილავთ, მათ შორის შენობას, რომელსაც აუცილებლად შემოგთავაზებთ, სადაც თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, რომ განახორციელოთ თქვენი საქმიანობა. ალბათ ბატონი სოსო დამეთანხმება, საუკეთესო შემოთავაზება იქნება ის შენობა, რომელიც ახლა რეაბილიტაციის პროცესშია."

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი, ილია შალიკიანი: - „გამარჯობა, მე სტაჟირება გავიარე მერიაში და მაინტერესებს საკრებულოში შესაძლებელია თუ არა ასევე სტაჟირების გავლა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „ჩვენ რამდენიმე მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული უნივერსიტეტებთან, მათ შორის ქუთაისის უნივერსიტეტთან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. ამ მემორანდუმებით გათვალისწინებულია სტაჟირების პროგრამაც, თუ არ ვცდები საჯარო მმართველობის ნაწილში მესამე-მეოთხე კურსის სტუდენტთათვის, შესაბამისად, ამ თანამშრომლობის ფორმატში არის სტაჟირების გავლა შესაძლებელი. უნდა მიმართოთ თქვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს საკრებულოში სტაჟიორთა გამოგზავნას. სიამოვნებით ველოდებით სტაჟიორებს, მოხარულები ვიქნებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, თეა ჯუღელი: - „ბატონი ირაკლი, დავამატებ. ჩვენ იურიდიულ საკითხთა კომისიაში ვითხოვდით 5 სტუდენტს სტაჟირებისათვის, გამოცხადებული გვქონდა მათ შორის ვაკანსია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე. ეს პრაქტიკა კარგია, რადგან სამუშაო გამოცდილებაშიც ითვლება, თუმცა ჩვენ შემთხვევაში მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ სტაჟირების გავლა, კომისიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. სიამოვნებით მივიღებთ სტუდენტებს კვლავ სტაჟირებისათვის."

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი, გვანცა მაჩიტიძე: - „მადლობას გიხდით ამგვარი შესაძლებლობისთვის. წელს ბევრი ახალგაზრდული ფესტივალი ჩატარდა და მაინტერესებს გაგრძელდება თუ არა მსგავსი ფესტივალები, ან თუ ფიქრობთ ცალკე, ახალგაზრდული ფესტივალის, როგორც ტრადიციის ჩამოყალიბებას?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „მადლობა გვანცა, 369 ათასი ლარის რესურსი იხარჯება ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაზე, მათ შორის, ახალგაზრდულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსები თავისუფალი ინიციატივებისათვის, რომელიც ერთგვარი ახალი შესაძლებლობა და კარგი მაგალითია მონაწილეობითი

ბიუჯეტირების. რეალურად თქვენ ახალგაზრდებს შეგიძლიათ კონკრეტული პროექტი წარმოადგინოთ ამ ინიციატივის ფარგლებში და მოიპოვოთ დაფინანსება. მიმდინარე წელს სწორედ თქვენი ინიციატივა იყო ახალგაზრდული ფესტივალი და ვფიქრობ, ძალიან კარგი ღონისძიება გამოგივიდათ. კიდევ ერთხელ მადლობა ამ ინიციატივისათვის და მადლობა უნდა გადავუხადო აღმასრულებელს და მერიის შესაბამის სამსახურს. მე ვფიქრობ, ეს ფესტივალი უნდა გაგრძელდეს თავისი რეზონანსისა და გამოხმაურების გამო. გარდა ამისა, ახლა მიმდინარეობს 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირება, ნებისმიერი ინიციატივა შეგვეძლება განვიხილოთ ბიუჯეტში. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა დააყენოთ საკითხი, რომელიც თქვენს საჭიროებებს ეხება და საბიუჯეტო ინიციატივის ფარგლებში შეგვეძლება ამ საკითხებზე მსჯელობა და დაინიცირება, საკრებულო გახდება იმ საკითხის ინიციატორი, რომელზეც შევჯერდებით. მზად ვარ, მხარი დაგიჭიროთ იმ ინიციატივების განხორციელებაში, რომელიც უშუალოდ გექნებათ საბიუჯეტო განხილვის პროცესში."

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი, გიორგი ოკრიბელაშვილი: - „მადლობა ბატონ ირაკლის, რომ საზოგადოებას გააცნო მთელი წლის საქმიანობა და მადლობა საკრებულოს თითოეულ წევრს, თანამშრომლებს იმისათვის, რომ ყოველდღე საზოგადოების სამსახურში არიან. მინდა უბრალოდ რამოდენიმე საკითხს გამოვეხმაურო, პირველი ეს იყო ახალგაზრდულ სივრცესთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ახალგაზრდული სივრცის მოწყობა უმჯობესია იქ, სადაც ახალგაზრდების ძირითადი ნაკადის აკუმულირება ხდება. ქუთაისის უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოკაცია ყველაზე შესაფერისია ამისათვის, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახალგაზრდული სივრცის მოსაწყობად ლოკაციის გამო შეიძლება არ იყოს კარგი. მეორე საკითხი ეხება ახალგაზრდულ ფესტივალს. ეს ახალგაზრდული ფესტივალი იყო რამოდენიმე ადამიანის ინიციატივა, რომელიც ზუსტად ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და ეს იყო საწყისი, რისთვისაც მადლობა ქალბატონ ლანა სვანიძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელებაში, მხარდაჭერაში მიიღო მონაწილეობა. გამოვეხმაურები ახალგზარდების ინიციატივას, რომ ასეთი ახალგაზრდული ფესტივალი იყოს ყოველწლიურად და არამარტო ინიციატივების ფარგლებში, არამედ იყოს პროგრამის სახით და იყოს უფრო მასშტაბური ახალგაზრდებისათვის. იმედია, საკრებულოდან ამის შესახებ მზაობა იქნება და მადლობა წინასწარ გაწეული შრომისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „ეს ახალგაზრდული ფესტივალი შეგვიძლია განვიხილოთ პროგრამის ან ქვეპროგრამის სახით ბიუჯეტში და შესაბამისი ფინანსური ნაწილი აკუმულირდეს ამ ნაწილში, თუმცა ფინანსური ნაწილი იქნება გადასახედი, რადგან მე ვიცი რომ დიდი

ძალისხმევა დაგვჭირდა რომ სრულყოფილი ყოფილიყო ამ ნაწილში. შეგიძლიათ გქონდეთ საკრებულოს მხარდაჭერის იმედი.“

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი, ნინი გიორგაძე: - „მაინტერესებს ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რაიმე ცვლილება თუ იგეგმება? წინა წელს თავად ვიყავი ამ პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი პროექტის მონაწილე, ხოლო წელს გავხდი პროექტის ასისტენტი და ვიცი რამდენად მნიშვნელოვანია ის ახალგაზრდებისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „მე სუბიექტური ვიქნები, ალბათ თავიდანვე, როდესაც ამ პროგრამამ დაიწყო ფუნქციონირება გაჩნდა ერთი საკითხი, უშუალოდ ახალგაზრდებს არ უკავშირდებოდა ინიცირება, შეიძლება ახალგაზრდულ საჭიროებებზე მორგებული პროექტებს ვიღებდით, მაგრამ თვითონ ახალგაზრდების მიერ ინიცირებული არ იყო ისინი, აქ იყვნენ სამოქალაქო ჯგუფები ან ორგანიზაციები, მაგრამ არა ახალგაზრდები. შესაბამისად, პრიორიტეტი მიენიჭა ახალგაზრდების მიერ მოტანილ პროექტებს. მეორე საკითხი იყო ისეთი პროექტების დაფინასება, რომელიც ახალგაზრდულ პოლიტიკასთან რეალურად ნაკლებად იყოს კავშირში, მაგალითად, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება. მე ვფიქრობ, შესაძლებელია განვაცალკევოთ ეს საკითხები და სპორტული ღონისძიებები იყოს ცალკე, ხოლო ახალგაზრდული პოლიტიკა ცალკე, რომელიც ორიენტირებული იქნება მხოლოდ არაფორმალურ განათლებაზე, გართობის ნაწილზე და ა.შ.“

ქუთაისის 35-ე საჯარო სკოლის მოსწავლე, ანანო შვანგირაძე: - „მაინტერესებს საკრებულო გვთავაზობს თუ არა რაიმე გეგმას, რომ სკოლები და მოსწავლეები მეტად ჩავრთოთ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევისაკენ მიმართულ საქმიანობაში და განიხილავთ თუ არა სკოლების მიერ შემოთავაზებულ გეგმებას, რადგან ჩვენ სკოლას უკვე აქვს ასეთი გეგმა მომზადებული?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „დღევანდელი დღის სამიზნე ჯგუფად ახალგაზრდების შერჩევა, ჩვენი პრიორიტეტის ნაწილია. ვფიქრობთ, მომავალ წელს მაქსიმალურად გავაძლიეროთ კომუნიკაცია ახალგაზრდებთან, აკადემიურ ნაწილთან, სტუდენტებთან და სკოლებთანაც, შესაბამისად სკოლებთან და თვითმმართველობებთან გვინდა გვქონდეს აქტიური თანამშრომლობის შესაძლებლობა. მათ შორის, როდესაც საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სტრატეგიას შევიმუშავებთ, მასში ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება სკოლებთან და თვითმმართველობებთან კომუნიკაცია. მნიშვნელოვანია მოქალაქეებს, მით უფრო ახალგაზრდებს ჰქონდეთ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ. ასეთი მაგალითი სწორედ 36-ე სკოლის მოსწავლეების ინიციატივაა, რომელსაც შემდეგ მხარი დაუჭირა ადგილობრივმა

თვითმმართველობამ. ამის გარდა, თვითმმართველობას გააჩნია მექანიზმის ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ, შესაბამისი განყოფილებაც მუშაობს პოლიტიკაზე და აქაც ამ პროცესის აქტუალიზაცია ხელს შეუწყობს საკითხის სისტემატიზაციას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, იოსებ ხახალეიშვილი: - „მეც დავამატებ, ჩვენ უკვე დებულების შემუშავების პროცესში ვართ, რომელიც ეხება ჩვენს თანამშრომლობას სკოლებთან. მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული საწყის ეტაპზე 20 000 ლარი, მაქსიმუმ 10 გამარჯვებულ სკოლას, თითოეულს 2000 ლარი გადაეცემა სკოლაში არსებული თვითმმართველობებისა თუ საინიციატივო ჯგუფების იდეების/პროექტების დასაფინანსებლად. ამაზე იქნება კომისია, რომელიც განიხილავს განაცხადებს. დარწმუნებული ვარ, რომ ისევე როგორც ახალგაზრდულ ინიციატივებს, ამასაც კარგი განვითარება მოჰყვება."

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი, დავით ხაჩიძე: - „კალათბურთის მხრივ თუ იგეგმება ინფრასტრუქტურული ცვლილებები, რადგან სპორტის სასახლე ერთადერთი მოქმედი და სტანდარტებს მორგებული დარბაზია, მაგრამ სტიქიური მოვლენების დროს არის შემთხვევები, რომ სახურავი ზიანდება. ამ კუთხით რა გაქვთ დაგეგმილი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „პირველ რიგში, ერთი დარბაზის რეაბილიტაცია შევძელით, უნივერსიტეტის დარბაზის მოწესრიგებაც პირდაპირ PRDP-ის პროგრამის ფარგლებში. რა თქმა უნდა, გამოწვევაა ჩვენთვის მე-12 საკალათბურთო სკოლა, 2024 წლის პრიორიტეტების ფარგლებში მხარი დავუჭირეთ რომ ნუსხაში ეს პროექტიც შესულიყო უშუალოდ რომელიც სპორტის სასახლეს ეხება. ასევე, ვფიქრობთ საკალათბურთო სკოლაზე, აქ ერთვება საკალათბურთო ფედერაცია და გვაქვს დაპირება, რომ ისინი გაუკეთებენ რეაბილიტაციას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, იოსებ ხახალეიშვილი: - „დავამატებ მეც, პირველ რიგში იმას, რომ წლის ბოლოს უკვე გვექნება სპორტის სასახლის რეაბილიტაციის პროექტი, გვექნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი სპორტის სასახლის პროექტი, რომელსაც უკვე წარვადგენთ რეგიონული განვითარების სამინისტროში დაფინანსების მოსაპოვებლად, თავის მხრივ, გვაქვს კერძო დაინტერესება და იდეა რეალურია ჩვენს ქალაქში საკალთბურთო დარბაზის აშენების, ამაზედაც მიდის კერძო ინვესტორთან აქტიური თანამშრომლობა. როგორც ირაკლიმ ბრძანა, საკალათბურთო ფედერაცია თანამშრომლობს ჩვენთან და გვთავაზობს მე-11 სპორტული სკოლის რეაბილიტაციას, ის შენობა უნდა დაინგრეს და აშენდეს ახალი სტანდარტების შესაბამისი დარბაზი, რომელიც არამარტო კალთბურთზე, არამედ სხვა სპორტის სახეობებზეც იქნება მორგებული."

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი, ნიკოლოზ კეთილაძე: - „ხომ არ განიხილავთ საჯარო და კერძო სკოლების რაღაც ქსელის შექმნას, იმიტომ რომ რამდენიმე წლის წინ როცა ვიყავი სკოლის თვითმმართველობაში, შეიქმნა სკოლების ერთგვარი თანამეგობრობა, რომელიც იყო ძალიან ნაყოფიერი, იმიტომ რომ, შევძელით ერთმანეთის გაცნობა, ერთად მუშაობა და წარმომადგენლობით ორგანოებთან შეხვედრა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „ადგილობრივი თვითმმართველობის ჩარევა ამ პროცესში, მათ შორის საკრებულოსი, ნაკლებად მიმაჩნია რომ იყოს საჭირო. ალბათ, თავად სკოლის თვითმმართველობებმა უნდა გადაწყვიტონ, რა ფორმით ჰქონდეთ კომუნიკაცია, მათ შორის გამოცდილების გაზიარების კუთხით. თუმცა თანამშრომლობის ნაწილში შეგვიძლია ამ იდეას მხარი დავუჭიროთ, მათ შორის დარგობრივი კომისიის მეშვეობით."

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი, მარიამ ბენიძე: - „მე ვიყავი ახალგაზრდული ბანაკის მონაწილე, კარგ შედეგებს დებს ეს ბანაკი. ვფიქრობ, მოთხოვნა დიდია ბანაკზე, მაგრამ რაოდენობა შეზღუდულია. ხომ არ ფიქრობთ უფრო მეტ ახალგაზრდას ჰქონდეს შესაძლებლობა ახალგაზრდული ბანაკის მონაწილე გახდეს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „მე როდესაც შევხვდი ახალგაზრდებს, ერთი კვირის წინ, ესეთი საჭიროებაც გამოვლინდა. ვფიქრობ, რომ ეს პროგრამა არა შინაარსობრივ, არამედ ფინანსურ ნაწილში უნდა გადაიხედოს, რათა გაიზარდოს ამ პროგრამის დაფინანსება."

ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ბაია ჯოხაძე: - „ბევრი უცხოელი სტუდენტი გვყავს და მაინტერესებს მათი უკეთ ინტეგრირებისათვის რამე პროექტები თუ იგეგმება, რომ ჩვენი ქვეყანა და ქალაქი უკეთ გაიცნონ და უკეთ წარმოაჩინონ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „მადლობა ამ კითხვისთვის. საუკეთესო საშუალება ინტეგრირებისა არის ის უნივერსიტეტი, სადაც ისინი განათლებას იღებენ. მე არაერთი უცხოელი სტუდენტი მინახავს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტში ჩართული, მათ შორის კულტურულ ღონისძიებებში. მნიშვნელოვანი საკითხია უნივერსიტეტის თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ფორმატში რაღაც ახალ მექანიზმზე ვისაუბროთ, თუ ამის საჭიროება არსებობს და თვითმმართველობისგან წამოსულ ინიციატივას საკრებულომ დაუჭიროს მხარი. კარგი იქნება თუ თვითონ უნივერსიტეტის თვითმმართველობა იქნება ინიციატორი და გაჩნდება პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას."

სკოლის მოსწავლე, გიორგი ქობულოვი: - „მოგეხესენებათ, რომ ქუთაისში გვაქვს ყინულის მოედანი, სადაც ვარჯიშობენ ფიგურული მოციგურავეები, მოყვარულები და ყინულის ჰოკეის გუნდიც. ყინულის მოედანი, არც თუ ისე კარგ მდგომარეობაშია, ზომაშიც მცირეა. მაინტერესებს იგეგმება თუ არა ახალი ყინულის მოედნის აშენება და რამდენ ხანში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, იოსებ ხახალეიშვილი: - „ჩვენ შარშან ახალი ციგურები ვიყიდეთ ბავშვებისათვის, რაც შეეხება ჰოკეის გუნდს, როცა პარლამენტში წარვადგინეთ ჩვენი სპორტის კონცეფცია, მაშინ გვქონდა საუბარი ფედერაციის წარმომადგენლებთან, ისინი ცოტა ხანში აპირებენ ჩამოსვლას ქუთაისში და სპორტული ეკიპირების ჩამოტანას ჰოკეის გუნდისათვის, ეს იქნება ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი, ხოლო შემდეგ მათთან ერთად ვიმსჯელებთ ან რეაბილიტაციაზე ან ახალი მოედნის მშენებლობაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია: - „დიდი მადლობა მეგობრებო, მადლობა ჩვენს კოლეგებს, საკრებულოს დეპუტატებს მობრძანებისთვის და მათ იმ საქმიანობისთვის, რომელიც ერთი წლის მანძილზე განახორციელეს. მომავალ შეხვედრამდე და იმედია, ჩვენ აქტიური თანამშრომლობა გვექნება, მათ შორის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოსთან.“

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2023.11.08 16:44:31 +04'00'

ოქმი შეადგინა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეულმა სპეციალისტმა

მარიამ ამბროლაძემ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას

ანგარიში გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

(2022 წლის ნოემბერი - 2023 წლის ნოემბერი)

სარჩევი

1. წინასიტყვაობა 1
2. ორგანიზაციული მიმართულებით გაწეული საქმიანობა 1
ა) საკრებულოს სხდომები 2
ბ) ცვლილებები საკრებულოს რეგლამენტში 2
გ) საკრებულოს წევრის ეთიკის წესების დამტკიცება 3
დ) სხვა კანონქვემდებარე ცვლილებები 4
3. საფინანსო – საბიუჯეტო მიმართულებით გაწეული საქმიანობა 4
4. ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებისადმი მხარდაჭერა 6
5. მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის, მართვისა და ეკონომიკის განვითარების მიზნით გაწეული საქმიანობა 6
6. ქალაქის განვითარების კონცეფციის შესახებ 9
7. ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაწეული საქმიანობა 9
8. საკრებულოს კომისიების საქმიანობა 11
ა) იურიდიულ საკითხთა კომისია 11
ბ) საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია. 13
გ) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია 14
დ) საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია 15
ე) საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია 15
9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო 15
10. საკრებულოს აპარატის საქმიანობა 19
ა) საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა 19
ბ) საკრებულოს აპარატის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა 19
გ) საკრებულოს აპარატის ადმინისტრაციული განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა 21
დ) საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა 25

ე) საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა 25

ვ) საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების და მოქალაქეთა მიღების განყოფილება..... 26

11. ინსტიტუციური რეფორმის ფარგლებში თანამშრომლობა გარე აქტორებთან 27

12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში არსებული ხარვეზები და გასატარებელი ღონისძიებები 28

13. დასკვნითი ნაწილი..... 29

1. წინასიტყვაობა

მოგეხსენებათ, გასული წლის ნოემბრის თვეში ჩემ მიერ ჩატარებული მუშაობის თაობაზე ანგარიში წარვუდგინე როგორც ქალაქის საზოგადოებას, ასევე საკრებულოს. 2022 წლის ნოემბრიდან დღემდე ერთი წელია გასული. ადგილობრივი თვითმმართველობა, საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი რგოლი, ხალხის მიერ არჩეული ინსტიტუცია ანგარიშვალდებულია მოქალაქეების წინაშე. მმართველობის ღიაობა და გამჭვირვალობა არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

საანგარიშო პერიოდში შევეცადე მეტი ყურადღება მიმექცია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით საკრებულოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის; მეტი ძალისხმევა გამომეჩინა საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.

2. ორგანიზაციული მიმართულებით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. გამომდინარე აქედან, დადებითი ტენდენციები შეინიშნება საკრებულოს ორგანოთა მიერ სხდომების მოწვევისა და ჩატარების პროცედურების დაცვის საქმეში.

მნიშვნელოვნად დაიხვეწა კომისიებისა და ფრაქციების მიერ სხდომების ჩატარებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების მიღების პრაქტიკა.

საკრებულოს კომისიების მიერ შემუშავებული დასკვნების საფუძველზე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკრებულოს მიერ მიღებული აქტების ხარისხი. ამის დასტურია ის, რომ საანგარიშო პერიოდის მანძილზე, საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების თაობაზე ზედამხედველობის ორგანოდან - საქართველოს

მთავრობის ადმინისტრაციიდან, არცერთი შენიშვნა არ მიუღია საკრებულოს აქტებში დაშვებული შეცდომების გასწორების თაობაზე.

ა) საკრებულოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში სერიოზული ყურადღება მიექცა საკრებულოს რიგითი და რიგგარეშე სხდომების მაღალორგანიზებულ დონეზე მომზადებასა და ჩატარებას. 2022 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარებულია საკრებულოს 18 სხდომა. მათ შორის 11 რიგითი, 7 რიგგარეშე. დაიხვეწა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებისა და მიღებული გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოქვეყნების პრაქტიკა. საკრებულოს ყურადღების არეშია სხდომების მომზადებისა და ჩატარების პროცესში საჯაროობის პრინციპების დაცვა. უზრუნველყოფილია სხდომებზე მოწვეულ პირთა და სხდომებში მონაწილეობის მსურველთა დასწრება. სხდომები გადაიცემა ტელე-რადიო კომპანია „რიონის" ეთერით პირდაპირი ტრანსლაციით. სხდომების მოწვევისა და მისი მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება ადგილობრივი თვითთმმართველობის ვებ გვერდსა და ფეისბუქ გვერდებზე.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ სხვადასხვა დროს განიხილა 126 საკითხი, მიღებულ იქნა 124 სამართლებრივი აქტი. განხილულ საკითხთა შორის 36 საკითხი წარმოდგენილია საკრებულოს წევრთა ინიციირებით.

სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ბ) ცვლილებები საკრებულოს რეგლამენტში

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა საკრებულოს რეგლამენტში, რომლითაც მერს ეძლევა უფლება წერილობით მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე. საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განხილვის გარეშე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, ცვლილება შევიდა აგრეთვე, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის წესში. ამ წესის შესაბამისად, მ/წლის მარტის თვიდან საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შემუშავება ხდება საკრებულოს ბიუროს მიერ, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს სხდომა.

ამასთან, რეგლამენტში დაკონკრეტდა საკრებულოს მორიგი სხდომის გახსნის, კონკრეტულად, ქვორუმის არარსებობისას, სხდომის გადადების პროცედურა. აგრეთვე, მასში ასახულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში შეტანილი ცვლილებები და სხვ.

კანონმდებლობიდან გამომდინარე, პრაქტიკაში დაინერგა საკრებულო ბიუროს სხდომაზე სხვადასხვა პროცედურული საკითხების განხილვა, დამტკიცება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. მოცემულ პერიოდში, ჩატარებული საკრებულოს ბიუროს 26 სხდომაზე განხილული 49 საკითხიდან 13 პროცედურული ხასიათისაა. 2022 წლის დეკემბრის, 2023 წლის იანვრის, მაისისა და ივნისის თვეებში ცნობად იქნა მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ გასვლის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: მერაბ ჭოხონელიძისა და ბექა ქებულაძის განცხადებები და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში შეტანილი ცვლილებები; ბიურომ დაამტკიცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები; რეგისტრაციაში გაატარა უმრავლესობის განახლებული სია. ყველა პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ იქნა ბიუროს საოქმო გადაწყვეტილება, რომელთა თაობაზეც გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება.

გ) საკრებულოს წევრის ეთიკის წესების დამტკიცება

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის მაისის თვეში საკრებულომ მიიღო ნორმატიული აქტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“, რომლის მიზანია, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე საკრებულოს წევრის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მისთვის ქცევის მაღალი ეთიკური სტანდარტების განსაზღვრის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების, საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობების ღირსეულად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულების ხელშეწყობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ამაღლება, საკრებულოს წევრის რეპუტაციის, პატივისა და ღირსების დაცვა.

დ) სხვა კანონქვემდებარე ცვლილებები

მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკრებულომ მიიღო ნორმატიული აქტები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი პირველადი სტრუქტურული ერთეულების დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ცვლილებები იქნა შეტანილი საკრებულოსა და მერიის საშტატო ნუსხებში, რომლებშიც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად აისახა საკრებულოსა და მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების ზრდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა მოტივაციის ამაღლებასა და შრომის ნაყოფიერების გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ საკრებულომ მიმდინარე წლის სექტემბერში ცვლილება შეიტანა „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M^3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში, რომლითაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფის უფასო სარგებლობის უფლება მიეცათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს.

3. საფინანსო – საბიუჯეტო მიმართულებით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცებისა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხებს.

გასული წლის 28 დეკემბრის რიგით მე-14 სხდომაზე საკრებულომ მიიღო დადგენილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების

შეტანის თაობაზე, რომლითაც საბოლოოდ დაკორექტირდა გასული წლის ბიუჯეტი. ამავე სხდომაზე განხილულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები. მოგახსენებთ, რომ საკრებულოს მიერ, 2023 წლის ქალაქის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის მიღებას წინ უსწრებდა ბიუჯეტის განხილვის მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები. პროექტი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საყოველთაო განხილვის მიზნით, გამოქვეყნდა პროაქტიულად. უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში აქტიურად იყო ჩართული როგორც საკრებულოს წევრები, ასევე კომისიები და ფრაქციები. გაიმართა საჯარო შეხვედრები, საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს საკრებულოს შესაბამისი კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე, კომისიების მიერ შემუშავდა დასკვნები, რომლებშიც ჩამოყალიბებული წინადადებები გათვალისწინებულ იქნა ბიუჯეტის პროექტში.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელი განსაზღვრული იყო 101 484,7 ათას ლარით. დღეისათვის კი, მისი მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამჟამინდელი მდგომარეობით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის მთლიანმა ასიგნებამ 129981.8 ათასი ლარი შეადგინა. გამომდინარე აქედან, საგრძნობლად გაიზარდა ინფრატრუქტურის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის, ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება.

საკრებულომ, საანგარიშო პერიოდში, სერიოზული ყურადღება მიაქცია ბიუჯეტის შესრულების კონტროლისა და მისი შესრულების შეფასების საკითხებს. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე განხილვის შემდეგ, 2023 წლის 29 მარტს, საკრებულოს მე-17 რიგით სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. საკრებულოს ბიუროს 26-ე სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, საკრებულოს მიერ ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

სანგარიშო პერიოდში, საკრებულოს წევრებს, კომისიებსა და ფრაქციებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქალაქის მერის მიერ, საკრებულოში წარმოდგენილ ინფორმაციებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 3 თვის, 6 თვისა და 9 თვის შესრულების მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ კარგა ხანია, დაწყებულია კამპანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე. საგულისხმოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აქტიური მუშაობა წარიმართა ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც საქმიანი შეხვედრები მოეწყო ქალაქის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქალაქის მოსახლეობასთან, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს ქალაქის მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტის მიღების საქმეში.

4. ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებისადმი მხარდაჭერა

აღსანიშნავია, რომ საკრებულომ საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების შემუშავებისა და სამთავრობო კომისიაში წარდგენას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე, საკრებულოს მიერ სხვადასხვა დროს მოწონებულ იქნა 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების 64 საპროექტო წინადადება, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქში არსებული მრავალსართულიანი ბინების ფასადების, სადარბაზოებისა და ლიფტების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკვერებისა და ღვარსადენი ქსელების რეაბილიტაცია და სხვა.

საკრებულოს თანადგომითა და მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქალაქის მასშტაბით, საავტომობილო და ქვეითთა მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განახლება. არსებული შუქნიშნების ნაცვლად, მოეწყო ადაპტირებული შუქნიშნები; რეაბილიტირებულ იქნა ჯიბლაძისა და ჩეჩელაშვილის ქუჩების გზები; მოწესრიგდა ვაჟა–ფშაველას ქუჩის მეოთხე შესახვევის დარჩენილი ნაწილის საგზაო ინფრასტრუქტურა; დასრულდა შოთა რუსთაველის გამზირზე საავტომობილო მოძრაობის ე წ „კუნძლებისა“ და „გამყოფი ზოლის“ ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის, ტ. ტაბიძის ქუჩისა და თამარ მეფის ქუჩაზე, აკ. წერეთლის უნივერსიტეტის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის, წერეთლის ქუჩის №246-ის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე ქსელის, ფურცელაძის ქუჩის მეორე შესახვევის სანიაღვრე არხის, ლუკა ასათიანის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია.

კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა კ. მესხის №4, ცხინვალის ქუჩის მე-3 შესახვევის №3; მ. კოსტავას ქუჩის №55; ბუკიას ქუჩის №7ა; ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №2; ჯავახიშვილის

ქუჩის 1-ლი შესახვევის №21; თაბუკაშვილის ქუჩის №119; ხუნდაძის ქუჩის №51ა; წერეთლის ქუჩის №276ა; ნიკეას ქუჩის №74; სულხან - საბას გამზირის №65; ი. ჭავჭავაძის გამზირის №11, №56, №57,59, №64; მახვილაძის ქუჩის №15; ალ. ყაზბეგის ქუჩის №36; აღმაშენებლის გამზირის №40/28; ცახელის ქუჩის №7ა; კ. გამსახურდიას ქუჩის №58; მარჯანიშვილის ქუჩის №24; არაყიშვილის ქუჩის №3; ი. ბერაძის ქუჩის №2 , №3, №4, №7; დადიანის ქუჩის №55; ხარებავას ქუჩის №9; ავტომშენებლის ქუჩის №17; ლომონოსოვის ქუჩის №2/3; თამარ მეფის ქუჩის №95 მრავალბიანიან საცხოვრებელ სახლებს.

დასრულდა დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 100 საფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) მოწყობა.

დასრულდა საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია ახალგაზრდობის, რუსთაველისა და ავტომშენებლის გამზირებზე.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები აღიჭურვა ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით. განხორციელდა მგზავრთა დაზიანებული მოსაცდელი 6 ობიექტის რეაბილიტაცია.

საქართველოს მთავრობის წლის № განკარგულების ფარგლებში სახურავის შესაკეთებელი მასალა გადაეცა ობიექტს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას და კერძო პირს დასრულებულია ერთეული დაზიანებული სახურავის შეკეთებითი სამუშაოები.

მიმდინარეობს ქალაქის გამწვანების, მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები.

5. მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის, მართვისა და ეკონომიკის განვითარების მიზნით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის სფეროს მიმართულებით. საკრებულომ თერთმეტჯერ იმსჯელა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის თაობაზე და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. სხვადასხვა დროს, თორმეტი განკარგულება იქნა მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის თაობაზე. ორი განკარგულება იქნა მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით. ერთი განკარგულება შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი

(განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემის შეახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე მიღებულია ოცდათორმეტი განკარგულება, ხოლო, მოძრავი ქონების გადაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე - სამი განკარგულება.

საყურადღებოა, რომ საკრებულომ მიმდინარე წლის ივნისის რიგით სხდომაზე მოიწონა მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტი, რომლის მიღებას წინ უძღოდა დოკუმენტის პროექტის ჩამოყალიბების მოსამზადებელი პერიოდი. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის პროცესში ჩართული იყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა შესაბამისი სამსახური, მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად განისაზღვრა გაეროს მდგრადი განვითარების 12 მიზანი და 29 ამოცანა.

დოკუმენტი სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრისა და 2017 წლის 7 ივლისის რეზოლუციებს. მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა 49 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები 2030 წლისთვის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის. დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას: ეკონომიკურს, სოციალურსა

და გარემოსდაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ მუნიციპალიტეტის მიმოხილვის ანგარიში წარედგინება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, 2020 წლის 23 იანვრის, №14 ბრძანებით შექმნილ, მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორის საბჭოს წელიწადში ერთხელ, თებერვლის თვეში. ასევე, საბოლოო ანგარიში შემუშავდება 2030 წელს. აღნიშნული მიდგომა უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა მომავალში ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრესის გაზომვისა და დასახული მიზნების შესრულების შეფასების კუთხით.

6. ქალაქის განვითარების კონცეფციის შესახებ

მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რომ მიმდინარე წლის 29 მარტს, კომისიური და საჯარო განხილვების შემდეგ, საკრებულომ მე-17 რიგით სხდომაზე მიიღო განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის განვითარება, მისი გამოყენებისა და განაშენიანების ზოგადი რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტის მიღება საფუძვლად დაედება მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის მიღებას.

7. ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაწეული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ახალგაზრდობის, კულტურის სფეროსა და სპორტის ღონისძიებების მხარდაჭერასა და განვითარებას.

საგულისხმოა, რომ საკრებულოს მხარდაჭერით, მიმდინარე წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში კულტურის სფეროს განვითარების ბიუჯეტი შეადგენს 10478.8 ათას ლარს, სპორტის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 15229.4 ათასი ლარით, ახალგაზრდობის მხარდაჭერისათვის გამოყოფილია 360.0 ათასი ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა გაზეთ „უქიმერიონის“ 14 ნომერი, ჟურნალ „მწვანეყვავილას“ 8 ნომერი, ჟურნალ „განთიადის“ 16 ნომერი. გამოიცა მწერალ რეზო ჭეიშვილის გადანახული

ჩანაწერების მე-7 ტომი, ემზარ კვიტაიშვილის დოკუმენტური რომანი „რეზო ჭეიშვილის გვერდით“. გამოიცა ცირა შალაშვილისა და თეიმურაზ ლანჩავას ერთტომეულები, რეზო გაბრიაძის წიგნი „ჩემი პატარა ქალაქი“.

ქუთაისელი მხატვრების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 7 გამოფენა. ქუთაისელი მწერლების, მხატვრებისა და თეატრალური მოღვაწეების საიუბილეო პროგრამის ფარგლებში გაიცა ჯილდო 29 თეატრალურ მოღვაწეზე, 11 მხატვარსა და 2 მწერალზე. დაფინანსდა 2 პლენერი და 9 გამოფენა. ქუჩის მხატვრობის „სტარტ არტის ფარგლებში“ 4 ლოკაციაზე მოიხატა 6 კედელი.

ქუთაისის თეატრების ფუნქციონირებისათვის მხარდაჭერის პროგრამის საფუძველზე მემორანდუმის ფარგლებში თანხა გამოეყო ლ.მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, მ.ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, ქუთაისის ნიღბების თეატრს, პანტომიმის თეატრს და ი.გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს. ადგილობრივი ბიუჯეტის ხელშეწყობით ჩატარდა „იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2023“.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ლიდერთა სკოლა, როკ მუსიკის ფესტივალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მიმდინარე წელს დაფინანსდა 10 ახალგაზრდული ინიციატივა. „საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა“ პროექტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება გამოეყო ორ ახალგაზრდას.

მიმდინარე წელს, სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 30 სპორტული ღონისძიება.

სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება ქუთაისელი სპორტსმენების წახალისებისა და მხარდაჭერის მიზნით. მარტო მიმდინარე წელს, საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებულ 25 სპორტსმენზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯილდოს სახით გამოიყო 28 700 ლარი.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა - რეაბილიტაცია - ექსპლოატაციის საკითხებს. აღნიშნული მიზნით, 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 513.6 ათასი ლარი.

8. საკრებულოს კომისიების საქმიანობა

მოგეხსენებათ, საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია ხუთი კომისია. საყურადღებოა, რომ თითოეული კომისია საქმიანობას წარმართავს კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში, მათ მიერ ჩატარებულია 69 სხდომა. განხილულია 204 საკითხი, შემუშავებულია 204 დასკვნა, 22 რეკომენდაცია და 4 ინიციატივა. კომისიების მიერ ჩატარებული ყველა სხდომა იყო ღია და საჯარო. კომისიების სხდომების ჩაშლის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. სხდომების მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული აღმასრულებელ ორგანოთა წარმომადგენლები. ყველა სდომა დაოქმებულია და შედგენილია 69 სხდომის ოქმი.

ა) იურიდიულ საკითხთა კომისია

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კომისია საკმაოდ კარგად ართმევს თავს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი უფლებამოსილების განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 23 სხდომა, განხილული აქვს 61 საკითხი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით მომზადებული აქვს 61 დასკვნა და 21 რეკომენდაცია. დეტალურად აქვს განხილული როგორც ინდივიდუალური, ასევე, ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი მხარე, მათი შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან. კომისიის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობასა და კონტროლს. კომისიის მიერ, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარდგენილ იქნა 20 სამართლებრივი აქტის პროექტი. მათ შორის, საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა და პროპორციული წარმომადგენლობის

ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ; საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ საკრებულოს შესაბამის განკარგულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე; საკრებულოს ფრაქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ და სხვ.

კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნა რეკომენდაციები დადგენილების პროექტის დანართებში ცალკე კოდით გენდერული მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა პროგრამული დაფინანსების საკითხის ასახვის; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის პროგრამული დაფინანსების საკითხების გამოკვეთის; საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი პროგრამული დაფინანსებით, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებათა წრის გაზრდის; მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერისა და თანადაფინანსებისათვის სისტემური სახის მიცემის თაობაზე; აღნიშნული მიზნით, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების სახელმწიფო მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის მუნიციპალურ დონეზე საგრანტო ან/და სხვა პროგრამების გაზრდის შესახებ .

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომისიამ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისა“ და „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - შიდა აუდიტისა და სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურების; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების საქმიანობის ანგარიშები. კომისიის მიერ ზემოაღნიშნული საკითხების ფარგლებში შემუშავებული და ადრესატთან გაგზავნილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

გ) საფინანსო - საბიუჯეტო კომისია

საკრებულოს სამუშაო პროცესში აქტიურად არის ჩართული საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია. იგი იხილავს კომისიას კომპეტენციას მიკუთვნებულ საკრებულოში შემოსულ პროექტებს, ამზადებს რეკომენდაციებს, წინადადებებს, დასკვნებსა და შემდგომი რეაგირების მიზნით, გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩატარდა კომისიის 9 სხდომა, განხილულ იქნა 24 საკითხი. შემუშავდა 24 დასკვნა და 4 ინიციატივა.

საანგარიშო პერიოდში, კომისიამ განიხილა და შეაფასა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები; მოამზადა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ, რომელიც მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას; განიხილა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები, რომელთა შესახებაც მოამზადა შესაბამისი დასკვნები.

მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის; სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების; კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა; სოციალურ საკითხთა სამსახურების; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“; „მადლიერების სახლის“; „ი.ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“; „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“; „სპეციალური სერვისების“; „ქუთგანათების სერვისის“; „ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“, „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“; „ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი – 2015-ის“; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების: „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“; „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“; „საფეხბურთო კლუბი „მართვეს“ ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა და რეკომენდაცია მიეცა მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტს, ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცებას;

კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა „USAID-ის“ პროგრამის ფარგლებში, რომლის კოორდინირებით შემუშავების პროცესშია „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და

სამოქმედო გეგმა 2023 – 2025“. მოეწყო ორი შეხვედრა. კომისიამ მოამზადა შენიშვნები და რეკომენდაციები წარმოდგენილი დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით.

გ) ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

საანგარიშო პერიოდში სერიოზული საქმიანობა გასწია საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ადგილობრივ ბიუჯეტში ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული თუ სხვა ანგარიშვალდებული პირების ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წლის მაისისა და ივლისის თვეში ჩატარებულ სხდომებზე კომისიამ მოისმინა ანგარიშები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „სპეციალური სერვისებისა“ და „ქუთგანათების სერვისის“ მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ და დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ანგარიშები.

კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად, რომელიც ეხება, როგორც მატერიალურ, ასევე ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, კერძოდ, სკვერების მოწყობას, შემზღუდავი ბარიერების სამაგრი სამუშაოების ჩატარებას, გარე განათების დამონტაჟებას, მცოცავი მიწისა და ფასადის სამაგრ სამუშაოებს, გზის საფარის მოწყობას და ა.შ, მერიის შესაბამისი სამსახურის წინაშე შუამდგომლობა გაეწია 60-მდე მოქალაქეს.

დ) ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

საკრებულოს საქმიანობაში აქტიურადაა ჩართული საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

საანგარიშო პერიოდში, კომისიის მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვას. 2023 წლის ბიუჯეტების ფორმირებისას კომისიამ ყველა სამუშაო შეხვედრაში, ყველა სამსახურთან მიიღო მონაწილეობა მის სფეროს მიკუთვნებული ბიუჯეტის პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში კომისიას ჩატარებული აქვს 8 სხდომა, განხილულია 8 საკითხი.

2023 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ იმსჯელა და განიხილა ჯანდაცვისა და სოციალური 31 ქვეპროგრამა.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების ყოველწლიურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წელს კომისიამ რამდენჯერმე მოისმინა ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

მიმდინარე წელს, კომისიამ სამუშაო შეხვედრა გამართა ქალაქში არსებული პოლიკლინიკების ხელმძღვანელებთან, შემუშავდა კითხვარი ბავშვებში პირველადი იმუნოდეფიციტის დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისადაც დაზუსტდება რამდენი მოზარდია აღრიცხული ზემოაღნიშნული ნოზოოლოგიით, რათა, მოხდეს დახმარება მათთვის საჭირო შემდგომი კვლევების დაფინანსებისათვის.

ე) კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია

მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს მისი უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია, რომლის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქის ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული

ინიციატივებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების მხარდაჭერა, კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

კომისიის მიერ, მიმდინარე მოწვევის პერიოდში ჩატარებულია კომისიის 11 სხდომა, განხილულია 11 საკითხი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია მონაწილეობდა 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში. აქტიურადაა ჩართული როგორც კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით სხდასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში, ასევე საზედამხედველო ფუნქციებიდან გამომდინარე მათ მონიტორინგში.

კომისიის ყურადღების არეში მოექცა ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული კულტურის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის საკითხები. კულტურის პროგრამიდან წლის განმავლობაში ფინანსური მხარდაჭერა აქვთ არტისტებსა და ქურუმებს, მხატვრებს, ადგილობრივ თეატრებსა და ანსამბლებს.

9) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

საკრებულოში წარმატებით ფუნქციონირებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელსაც 2022 წლის მარტიდან სათავეში უდგას საკრებულოს წევრი, ქალბატონი მაგდა კოსტავა. საბჭო შედგება 30 წევრისაგან. მასში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმართველობის, მედია საშუალებების, არასამთავრობო სექტორის, სამედიცინო სფეროსა და ბიზნესის წარმომადგენლები. 25 ქალი და 5 მამაკაცი. საბჭოს საქმიანობის მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, 2023 წელს, საბჭოს დებულებაში განხორციელდა ცვლილებები, წევრთა რაოდენობის გაზრდის, ახალი წევრების მიღებისა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესის შესახებ.

საბჭო თავისის საქმიანობით, მუნიციპალურ დონეზე უზრუნველყოფს გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მანდატის ფარგლებში.

საბჭომ, მხარდამჭერ ორგანიზაციებთან ერთად, თავისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად საკუთარი პოლიტიკის, ხედვისა და

მიზნების გათვალისწინებით შეიმუშავა და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინა პოლიტიკის დოკუმენტი, სტრატეგია და 2023 -2025 წლის სამოქმედო გეგმა (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №159 განკარგულება). აღნიშნული დოკუმენტით განსახორციელებელი მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის მიზნით 2023 წლის ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამული კოდით ცალკე აისახა საბჭოს ბიუჯეტი. გამოყოფილი ფინანსური რესურსი აქტიურად იქნება გამოყენებული საბჭოს ეფექტურ და კოორდინირებულ საქმიანობაში, ისეთი პრიორიტეტული საკითხების გადაჭრისათვის როგორიცაა: გენდერული თანასწორობის საკითხებზე უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერებისთვის კვლევის ჩატარება და კვლევაზე დაფუძნებული ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა; გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა მონაცემებზე დაყრდნობილი პოლიტიკის წარმოებით; გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიის ხელშეწყობა თანამშრომლობისა და ცნობიერების ამაღლების გზით; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა; ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად ახორციელებს ცნობიერების ამაღლების კუთხით აქტივობებს, თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. საბჭო არაერთხელ იქნა მიწვეული საინფორმაციო თუ ტრეინინგ კურსზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის თემატიკაზე, როგორც საუკეთესო პრაქტიკის მქონე საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო.

გენდერული თანასწორობის შიდა გაძლიერებისა და საქმიანობის აქტიურად განხორციელების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა ჩაატარა ტრეინინგი თემაზე: „სექსუალურ შევიწროება და ამ მიმართულებით სახალხო დამცველის მანდატი“, რომელშიც ჩართული იყვნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელი და წევრები მონაწილეობდნენ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, რომელიც გაიმართა თემაზე: „ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების სირთულეები მუნიციპალიტეტებში“.

ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: „ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“ - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელი.

გაეროს ცენტრალური ოფისის ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა საბჭოს ორგანიზებით („UN Headquarter“) ქალაქ ნიუ-იორკში 10-დან 14 ივლისის ჩათვლით, გაიმართა პოლიტიკური ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა ქუთაისის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, როგორც „CEMR-ის“ ახალგაზრდა არჩეული თანამდებობის პირთა კომიტეტის წევრი. ფორუმის თემას, გლობალურად პანდემიის გავლენის შეფასება, კოვიდის შემდგომი რეაბილიტაციის დაჩქარებისა და 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნების („SDG20030“) დაგეგმვა-განხორციელება და უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) მხარდაჭერით ჩატარდა სკოლამდელი აღზრდის 40 პედაგოგისთვის ტრენინგი თემაზე: „სკოლამდელი აღზრდის მეთოდოლოგიაში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება“.

საბჭო აქტიურად თანამშრომლობს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გაიმართა ტრენინგი სახელწოდებით: „ქალთა და გოგონათა ჩართულობა თანამედროვე ტექნოლოგიებში“ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს („GITA – Tech Park“) თანამონაწილეობით .

ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ, ჩატარდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე განხილული იქნა სექსუალურ შევიწროებასა და ამ მიმართულებით სახალხო დამცველის მანდატი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა, „USAID-ის“ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის განმახორციელებლებსა და საკრებულოს თვჯოდომარეს შორის. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით მოსარგებლე მოწყვლადი ჯგუფების საკითხები, ინტეგრაცია და ეკონომიკური გაძლიერება, ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკა ამ მიმართულებით,

გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის სამოქმედო გეგმის ერთ -ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ქალთა ეკონომიური გაძლიერების ხელშეწყობა. ამ მიზნით , 2023 წლის ივლისის თვეში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაიმართა შეხვედრათა ციკლი. შეხვედრებში ჩართული იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კოლეჯ „იბერიას“ წარმომადგენელი,

რომლებმაც მოქლაქეებს სრული ინფორმაცია მიაწოდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. შეხვედრების ციკლში ასევე მოწვეული იყო, დასაქმების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, რომელმაც მოქალაქეებს მიაწოდა ინფორმაცია შრომის ბაზარზე არსებული პერსპექტივებისა და გამოწვევების შესახებ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავჯდომარემ საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით, წერილობითი ფორმით მიმართა რამდენიმე სახელწიფო უწყებას და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურულ ერთეულებს ქუთაისში მცხოვრებ მოქალაქეთა შესახებ გენდერულ ჭრილში , სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებით .

საანგარიშო პერიოდში საბჭოს სულ ჩატარებული აქვს 8 სხდომა, რომელზეც განხილულია 18 საკითხი. ყველა სხდომა იყო საჯარო.

10. საკრებულოს აპარატის საქმიანობა

ა) საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების ხელშეწყობას, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მაღალ პროფესიულ დონეზე რედაქტირებას, საკრებულოს მიერ განსახილველი პროექტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, სამართლებრივი აქტების გამოცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხებს, საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმების კანონით დადგენილი წესით მომზადებასა და შედგენას, საკრებულოს სხდომების მოწვევისა და მისი საჯაროდ გამოცხადების ვადების დაცვას.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს ყველა სხდომა ჩატარებულია საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების ხელშეწყობით. განყოფილების მიერ შედგენილია საკრებულოს ბიუროს 26 და საკრებულოს სხდომის 18 ოქმი. დამუშავებული და გამოცემულია სულ 124 სამართლებრივი აქტი. მათ შორის 26 ნორმატიული და 96 ინდივიდუალური. სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს პროგრამაში ატვირთული, გამოქვეყნებულია და

სარეგისტრაციო კოდი მიკუთვნებული აქვს საკრებულოს მიერ მიღებულ ყველა ნორმატიულ აქტს. განყოფილების მიერ შემუშავებულია 145 წინადადება და რეკომენდაცია. საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მომზადებულია 21 სამართლებრივი აქტის პროექტი. საკრებულოს ბიუროსათვის შემუშავებულია 13 საოქმო გადაწყვეტილების პროექტი პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის თაობაზეც მომზადდა საკრებულოს თავმჯდომარის 13 ბრძანების პროექტი. შესაბამისად, გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის 13 ბრძანება. ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე საყოველთაო გაცნობის მიზნით, განთავსებულია განყოფილების მიერ მომზადებული და რედაქტირებული საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმები და საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტები.

განყოფილების მიერ, განხილულია სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მოქალაქეების წერილობითი მომართვები და განცხადებები საჯარო ინფორმაციების მოთხოვნის შესახებ, რომლის თაობაზეც მომზადებულია შესაბამისი პასუხები კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

სხვადასხვა დროს მომზადებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან გასაგზავნი საკრებულოს თავმჯდომარის წერილების პროექტები, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების წინადადების თაობაზე, საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებების შესახებ და სხვ.

ბ) საკრებულოს აპარატის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების საინფორმაციო უზრუნველყოფის, საკრებულოს საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალების მომზადება-გავრცელების, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების პრეს-კონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრებისა და ინტერვიუების ჩატარების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

მოცემულ პერიოდში აღნიშნული განყოფილების მიერ ინფორმაციულად უზრუნველყოფილი იქნა საკრებულოს 18 სხდომა.

საგულისხმოა, რომ საკრებულოს სხდომების ჩატარებისთვის საჭირო საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფისა და მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განყოფილების მიერ, რამდენიმე დღით ადრე ხდებოდა ანონსებისა და საინფორმაციო ბარათების მომზადება, რომელიც ქვეყნდებოდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.kutaisi.gov.ge) და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუქ გვერდზე (https://www.facebook.com/KutaisiCityAssembly). ასევე, მედიისთვის მზადდებოდა პრესრელიზები.

განყოფილების ხელშეწყობით, საკრებულოს სხდომების მსვლელობა გადაიცემოდა ტელეკომპანია „რიონის" პირდაპირი ეთერისა და საკრებულოს ფეისბუქ „ლაივის" საშუალებით.

ბიუჯეტის განხილვის პროცესში, ინფორმაციის საჯაროობიდან გამომდინარე, საკრებულოს ფეისბუქ „ლაივის" საშუალებით მოხდა საკრებულოს კომისიების სხდომების ტრანსლირება. დაგეგმილი კომისიების შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდებოდა ანონსის სახით მომზადებული დღის წესრიგით, რომელიც რამდენიმე დღით ადრე ქვეყნდებოდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.kutaisi.gov.ge) და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუქ გვერდზე (https://www.facebook.com/KutaisiCityAssembly).

განყოფილების ხელშეწყობით ხდებოდა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში საკრებულოს წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა.

მიმდინარე წელს, ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის მე-3 საჯარო სკოლისა და ქუთაისის საკრებულოს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ჩატარდა იმიტირებული საკრებულოს სხდომა, რომელზეც სკოლის მოსწავლეებმა საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით მოახდინეს იმიტირებული სხდომის გამართვა. განყოფილების ხელშეწყობით, სხდომის მსვლელობა გადაიცა პირდაპირი ეთერით.

გ) საკრებულოს აპარატის ადმინისტრაციული განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში გარკვეული მუშაობა ჩაატარა საკრებულოს აპარატის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა - ადმინისტრაციულმა განყოფილებამ საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. ხელი შეუწყო საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშების ჩატარებას. ორგანიზება გაუწია საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს ყველა სხდომის მოწვევას.

განყოფილებამ საკრებულოს გამართული ფუნქციონირებისა და დაგეგმილი ღონისძიებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის მოამზადა

სხვადასხვა პროცედურული და ტექნიკური ხასიათის 17 წერილის პროექტი და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

განყოფილების მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსული წერილობითი მომართვებისა და განცხადებების შესრულების საკითხს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის პირველი იანვრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით შემოსულია სულ 25 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციის მიწოდების თაობაზე 210 მოთხოვნას. ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

2023 წლის პირველი იანვრიდან 10 ოქტომბრის საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებული არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლოს მიერ საკრებულოსათვის ხარჯების გადახდის ვალდებულება დაკისრებული არ არის, შესაბამისად, ამ მიმართულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯები არ გაწეულა.

დ) საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში სერიოზული მუშაობა გასწია საკრებულოს მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა - ადამიანური რესურსების განყოფილებამ განყოფილებისათვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.

განყოფილების მიერ, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 430 ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტი, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო დროის რეჟიმის კონტროლის მიზნით, საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის №381 ბრძანების შესახებ, რომლის თანახმადაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატში, შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო დროის რეჟიმის კონტროლის მიზნით, დაევალა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებულ პირთა სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ყოველკვირეული დოკუმენტის მომზადება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსისათვის წარდგენა.

საანგარიშო პერიოდში, განყოფილების მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში გამოცხადდა გამარტივებული კონკურსი 2 პოზიციაზე, კონკურსის საფუძველზე ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმდა ორი პირი: ერთი - გენდერული თანასწორობის საკითხებში, ხოლო მეორე - იურიდიულ საკითხთა კომისიაში.

განყოფილების ხელშეწყობითა და ძალისხმევით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროფესიული პრაქტიკა გაიარა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მესამე სემესტრის 11-მა სტუდენტმა. პრაქტიკის პერიოდში ისინი გაეცნენ საჯარო დაწესებულებაში მუშაობის სპეციფიკას, კერძოდ, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს დარგობრივი კომისიების მუშაობას, სამსახურებრივ დოკუმენტაციას, დაესწრნენ საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სხდომებს. მიიღეს სათანადო გამოცდილება და გამოიმუშავეს მათი პროფილის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ მათგანზე გაიცა შესაბამისი ცნობა.

განყოფილების მიერ, საკრებულოს აპარატში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დახვეწის მიზნით, მათი საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის საფუძველზე და თითოეული მოხელის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, განისაზღვრა მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამა გაიარა საკრებულოს აპარატის 33-მა საჯარო მოხელემ, მათ შორის:

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენინგკურსები:

„ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში“ - გაიარა 2-მა პროფესიულმა საჯარო მოხელემ;

„დიპლომატიური პროტოკოლი და საერთაშორისო ურთიერთობები“ – 4 -მა მოხელემ;

„შრომის სამართალი“ – 1-მა მოხელემ;

ინტერმუნიციპალური ტრენინგკურსები:

„არქივის ცნება, მნიშვნელობა და გამოყენება; დადგენილი წესების შესაბამისად დოკუმენტების მოწესრიგება, ბაზაში ასახვა, საარქივო შენახვისთვის მომზადება,

დაცვისა და შენახვის უზრუნველყოფა; დაწესებულების არქივის წარმოება და საარქივო დოკუმენტაციის მომზადება“ - გაიარა 1-მა მოხელემ;

„თანამშრომელთა შეფასების მეთოდები; მოხელის ელექტრონული შეფასება; უკუკავშირის მოდელები; სამუშაოს გაუმჯობესების მიდგომები“– 1-მა მოხელემ;

„ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის არსი; კადრების განვითარების პოლიტიკა; საჭიროებათა გამოვლენის მექანიზმები, მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური სასწავლო გეგმების შემუშავება და კადრების განვითარების პოლიტიკის შეფასება; მიწოდებული სასწავლო პროგრამებით მოხელეთა კმაყოფილების კვლევა; სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, ქოუჩინგი და მენტორობა; ლიდერობა და კონფლიქტის მართვა; ადმინისტრაციული პროცედურები (შინაგანაწესი, კანონები და კანონთან შესაბამისობა)“ – 1-მა მოხელემ;

„ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში საჭიროებათა კვლევისა და პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდები; ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიმოხილვა და მათთან კოორდინაციის შესაძლებლობები; ადგილობრივი კარგი პრაქტიკები და გამოცდილება; ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში მუნიციპალური პროგრამების შემუშავება (სერვისის აღწერა, ბენეფიციარები, შეფასების ინდიკატორები)“ - 2-მა მოხელემ;

„საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კომუნიკაციები; სტრატეგიული კომუნიკაციები; PR კამპანიის დაგეგმვა; ივენთ მენეჯმენტი და კრეატიული აზროვნება; ცნობადობის ამაღლება და რეპუტაციული მენეჯმენტი; სოციალური ქსელების ადმინისტრირება,მუნიციპალიტეტის ვებ საიტის შინაარსის მართვა“ – 2-მა მოხელემ;

„მშენებლობის ნებართვების გაცემისა და სანებართვო პირობებზე ზედამხედველობის სამართლებრივი საკითხები; სამშენებლო ნებართვების, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის, ადმინისტრაციული აქტების აღსრულების, ჯარიმების და სხვა კონტროლი; სამშენებლო დოკუმენტის დასაშვები ცვლილება და სამშენებლო, დოკუმენტის დარღვევა, სამშენებლო დოკუმენტში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება, მშენებლობის კონსერვაცია, სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის სახეები“ – 1-მა მოხელემ;

„საკრებულოს აპარატის საქმიანიბის ორგანიზება/წარმართვა; საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზება; პეტიციის ადმინისტრირება; საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები“ – 14-მა მოხელემ;

„საჯარო ინფორმაციის ცნება, სახეები, საჯარო ინფორმაციის რესტრის წარმოება; საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი და ვადების დაცვა; პერსონალური მონაცემების ცნება; მონაცემების დამუშავება; მონაცემთა სუბიექტის უფლებები და შეზღუდვის საფუძვლები“ – 2-მა მოხელემ;

„რა არის ეთიკა; საჯარო მოსამსახურის ურთიერთობა სახელმწიფოსთან; საჯარო მოსამსახურის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები; საჯარო მოსამსახურის ურთიერთობა საზოგადოებასთან (https://ethics.gov.ge/), საჯარო სამსახურის ბიუროს თვითმართვადი კურსი“ - 2-მა მოხელემ.

განყოფილების მიერ, კანონით დადგენილი წესით, განხორციელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შუალედური შეფასების პროცესი, რომელიც განსაზღვრული იყო თითოეული მოხელის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული კომპეტენციებისა და ფუნქციების მიხედვით. დეკემბრის ბოლოს იგეგმება საბოლოო შეფასების პროცესის განხორციელება.

განყოფილების ორგანიზებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოსა და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლას შორის გაფორმებული მემორანდუმისა და „საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში, ეროვნული უმცირესობის 6-მა წარმომადგენელმა - საჯარო მოსამსახურემ ნინოწმინდის, გარდაბნისა და დმანისის მუნიციპალიტეტებიდან გაიარა პრაქტიკული სწავლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში.

განყოფილების მიერ ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში (eHRMS) და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს პროგრამის ადამიანური რესურსების მართვის მოდულში, მ/წლის განმავლობაში გამოცემული აქტების შესაბამისად, განახლდა არსებული ინფორმაცია.

ე) საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტის, საქართველოს მთლიანი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, ორგანიზება გაეწია საკრებულოს, მისი თანამდებობის პირებისა და მისივე ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას, კერძოდ, სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს მიერ გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციული – სამართლებრივი აქტების პროექტებს. ექსპერტიზის შედეგად შემუშავდა დასკვნები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა აქტების გამოცემისას, რამაც

მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საკრებულოს თავმჯდომარისა და კოლეგიური წესით გამოცემული აქტების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს კანონმდებლობასთან.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული არცერთი სამართლებრივი აქტი არ გასაჩივრებულა. სასამართლოს წარმოებაში საანგარიშო პერიოდში მყოფ საქმეთაგან საკრებულოს აპარატის იურიდიულ განყოფილებას 2023 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით აქვს 2 ადმინისტრაციული საქმე.

საკრებულოს მიერ აქტიურად გამოიყენება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 137-ე მუხლით გათვალისწინებული, სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოსადმი საკონსულტაციოდ მიმართვის წესი, რაც კიდევ უფრო მაღლა სწევს გამოცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების ხარისხს.

3) საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების და მოქალაქეთა მიღების განყოფილება

საკრებულოს ეფექტურ მუშაობას ხელი შეუწყო ელექტრონულმა საქმისწარმოებამ. აღნიშნული განყოფილების მიერ, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით საკრებულოს წევრებს, კომისიებს და ფრაქციებს შეუფერხებლად და სრულყოფილად მიეწოდებათ განსახილველი საკითხები, სხდომის დღის წესრიგი, მოქალაქეების განცხადებები და სხვადასხვა შინაარსიის წერილი-მომართვები. (ერთჯერადი მატერიალური დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება, საჯარო ინფორმაცია, ინფრასტუქტურა და სხვა)

- მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, საკრებულოში დარეგისტრირდა და ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო - **1317** წერილობითი მომართვის საფუძველზე. (საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე **764**).
- საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული წარმოების ვადაგადაცილება არ ფიქსირდება.
- რეაგირებისთვის გადაიგზავნა- **616** შუამდგომლობა.
- საკრებულოს თანამდებობის პირებთან და საკრებულოს წევრებთან შესახვედრად დაშვებულია -**778** საშვი, მათ შორის -**453** ქალი და **325** კაცი

მიმდინარე წელს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი USAID -თან. სამოქმედო გეგმის ფარგლებში ერთ-ერთ საქმიანობად მოთხოვნილი გვაქვს მოქალაქეებთან მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მხარდაჭერა, რაც ითვალისწინებს მოქალაქეთა ინფორმირებლობის და სამოქალაქო ჩართულობის გაზრდის

მექანიზმების დანერგვას. ასევე SMS სერვისის დანერგვის გზით საკრებულოს კომპეტენციებისა და საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებას.

განყოფილების ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს :

- მოქალაქეთა განცხადებების და წერილების მიღება- რეგისტრაცია, შესაბამისი წესით გაფორმება და ადრესატთან გადაგზავნა.
- საკრებულოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია და მერიის შესაბამის სამსახურისთვის მიწოდება.
- ფოსტით გასაგზავნი წერილების რეესტრში გატარება და გაგზავნა.
- მოქალაქეებისთვის მათ მიერ შემოტანილი განცხადებების წარმოების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.
- ადმინისტრაციული წარმოების დასრულების ვადების კონტროლი.
- გარეშე პირთა დაშვება და გადაადგილების რეგულირება .
- საკრებულოს წევრებთან შეხვედრაზე მოსული მოქალაქეების აღრიცხვა გენდერულ ჭრილში და სტატისტიკის წარმოება.
- განცხადებების და წერილების დაარქივება.
- ეფექტური საქმიანობის განხორციელებაში მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან შესაბამისი წერილების მომზადება.

11. ინსტიტუციური რეფორმის ფარგლებში თანამშრომლობა გარე აქტორებთან

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო და საკრებულოს თავმჯდომარე, ისევე როგორც დარგობრივი კომისიები, აქტიურად არიან ჩართული „USAID-ის“ „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ განხორციელებაში, რომლის მიზანიცაა საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის და საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა და ადგილობრივ თვითმმართველობებში ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. პროგრამა მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ანგარიშვალდებულების გაძლიერების, ინკლუზიური და მოქალაქეზე ორიენტირებული საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების კუთხით და დახმარებას უწევს ცენტრალურ ინსტიტუტებს დეცენტრალიზაციისა და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 2022-2027 წლები და მისი ძირითადი ამოცანებია: საჯარო მმართველობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესება თვითმმართველობებში; მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული და თანაბრად მისაწვდომი ადგილობრივი სერვისების მიწოდების ხელშეწყობა, ეროვნულ

სტანდარტებთან შესაბამისობაში; სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება თვითმმართველობის საქმიანობაში, ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით; დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის, ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების გზით. ამ მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო პროგრამის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობს შემდეგი სახის პროექტებში:

მიწვეული ვიყავით და დავესწარით 11 ივლისს ქალაქ თბილისში საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით დაგეგმილი პროექტის ინაუგურაციას, სადაც ვისაუბრეთ საკრებულოსა და კომისიების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო თანამშრომლობაზე, გავეცანით „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ მომზადებულ კვლევას საზედამხედველო ფუნქციებისა და მოქალაქეთა ჩართულობის არსებული ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, მონაწილეობა მივიღეთ პროგრამის ფარგლებში ორგანიზაცია „ეგერია სოლუშენსის“ მიერ წარმოებულ კვლევაში „ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედველო საქმიანობის შესახებ“. კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგების საპასუხოდ მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის გადახედვა და შესაძლო განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა, მათ შორის დარგობრივი კომისიების ამჟამინდელი დებულებების შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ასევე, ჩართული ვართ პროექტში „საჯარო ფინანსების მართვის („FM“) შეფასება სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების („PEFA“) შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს საკონსულტაციო კომპანია „პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფი“ („PMCG“). პროექტი ხელს შეუწყობს განვითარების უფრო ფართო მიზნების მიღწევას: მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რესურსების ეფექტურ განაწილებასა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას.

პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება პროექტი „კერძო სექტორის ჩართულობის („Private Sector Engagement“ („PSE“)) გაძლიერება ადგილობრივ დონეზე“, რომელიც მოიცავს „PSE“ სტატუს კვო-ს და ლანდშაფტის („landscape“) ანალიზს; საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარებას; „PSE“ კატალოგის („prospectus“) მომზადებას/განახლებას თითოეული მუნიციპალიტეტისთვის; იურიდიული ჩარჩო - დოკუმენტების მომზადებას „PPD“ (საჯარო-კერძო დიალოგის) პლატფორმის ინსტიტუციონალიზაციისთვის; საჯარო/კერძო თანამშრომლობის/პარტნიორობის პერსპექტიული პროექტების (მათ შორის, საპილოტე „PPP“პროექტის) იდენტიფიცირებას ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე და მათ განხორციელებაში ხელშეწყობას.

ასევე, საკრებულო მონაწილეობს პროექტში „საჯარო და კერძო სექტორებს შორის რეგულარული დიალოგის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო და კერძო სექტორს შორის შედეგზე ორიენტირებული დიალოგის პლატფორმების შემუშავება/გაუმჯობესებას მუნიციპალიტეტში.

პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა: „1.5.1.4. მოქალაქეებთან მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მხარდაჭერა (მათ შორის: მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდა სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების შესახებ, მათ შორის, „MSDA-ის“ მოქალაქეთა ჩართულობის მოდულის/მუნიციპალური საქმიანობისა (საკრებულოს სხდომები, ანგარიშის მოსმენები) და პროგრამების შესახებ (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა); ასევე, „SMS“ სერვისის დანერგვის გზით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (მერია და საკრებულო) კომპეტენციებისა და საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება“. სწორედ, ამ აქტივობის განსახორციელებლად იწყება ახალი პროექტი, რომელიც ჯერ მომზადების ეტაპზეა.

პროგრამის ფარგლებში 2023 წელს, გათვალისწინებულია მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშემწყობი მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამის შემუშავება და მისი ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის დახმარების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შემუშავდა მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშემწყობი მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამის სანიმუშო ფორმა, რომელიც ჯერ კიდევ განხილვისა და მომზადების პროცესშია.

ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო აქტიური მონაწილეობის მზადყოფნას გამოთქვამს „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ არაერთ პროექტსა თუ ღონისძიებაში.

12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში არსებული ხარვეზები და გასატარებელი ღონისძიებები

ჩემ მიერ წარმოდგენილ ანგარიშში შევეცადე, მოკლედ მომეთხრო იმ ღონისძიებების თაობაზე, რომელსაც მე და თქვენ, საკრებულოს შემადგენლობა, საკრებულოს აპარატი ვახორციელებდით საანგარიშო პერიოდში, თუმცა, არ შეიძლება გვერდი ავუარო იმ ხარვეზებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების საშუალებას არ გვაძლევს.

გამოსასწორებელია აღმასრულებელი ორგანოს მიდგომა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების წარმოდგენის ვადებთან დაკავშირებით. საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს, საკრებულოს აპარატს

სისტემატურად, ფორსმაჟორულ ვითარებაში უწევთ საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებზე მუშაობა. ვიმედოვნებთ, ქალაქის მერია გამოასწორებს მიდგომას ამ მიმართულებით, რითაც საკრებულოს მიეცემა საშუალება მეტი დრო დაუთმოს განსახილველი აქტების პროექტებზე მუშაობასა და სწორი და გამართული გადაწყვეტილებების მიღებასა და გამოცემას.

ჯერ კიდევ საკმაო ხარვეზებია როგორც სამართლებრივი, ასევე, რედაქციული კუთხით, საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებში. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებით დიდი ძალისხმევა უწევს საკრებულოს აპარატს აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი აქტების პროექტებზე მუშაობის დროს.

უნდა აღვნიშნო, რომ საკრებულომ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხებში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობას. ამ მიზნით, საკრებულოს წევრთა მიერ, მეტი დრო უნდა დაეთმოს მოსახლეობის წინაშე ანგარიშით წარდგენის საკითხებს, მათ ინფორმირებულობას მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობების, ქალაქის განვითარების გზების, თვითმმართველობის წინაშე მდგომი გამოწვევის თაობაზე.

დასახვეწია საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლის მექანიზმები. საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს ფრაქციების, კომისიების მიერ, მათი ანგარიშების მოსმენა უფრო მიზანმიმართული და სიღრმისეული უნდა იყოს, მათი საქმიანობის შეფასებისას ნათლად უნდა გამოისახოს არსებული პრობლემები და დაისახოს მათი დაძლევის კონკრეტული გზები და ამოცანები. უნდა გაძლიერდეს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლის მექანიზმი. სასურველია, საკრებულოს კომისიებმა პერიოდულად იმსჯელონ თავიანთ სხდომებზე, მათი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ საკითხთა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ შესაბამისი რეკომენდაციები. საკრებულოს წევრებმა მეტად უნდა ისარგებლონ ანგარიშვალდებული ორგანოებისადმი შეკითხვის წესით საკითხის დასმის შესაძლებლობით. აღნიშნული, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, საგრძნობლად გამორიცხავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში არსებულ პრობლემებს.

13. დასკვნითი ნაწილი

საგულისხმოა, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების სრულყოფასა და განვითარებას, როგორიცაა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მხარდაჭერა,

ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს („USAID“) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

„USAID-ის“ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამამ პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული მუნიციპალიტეტების საქმიანობის გაუმჯობესებას.

„USAID-ის“ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა ხუთწლიანი ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, რათა იმუშაონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და კერძო სექტორთან საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზნების მისაღწევად.

პროგრამა მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიმართულებით და მხარს უჭერს შესაბამის ცენტრალურ სახელმწიფო უწყებებს დეცენტრალიზაციისა და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში.

მემორანდუმის მიზანია დაეხმაროს ქუთაისის მუნიციპალიტეტს გააძლიეროს ადგილობრივი მოსახლეობა და გაზარდოს მათი ცხოვრების ხარისხი. გააუმჯობესოს სერვისები და სისტემები, როგორიცაა სოციალური მომსახურება, მყარი ნარჩენების მართვა, მუნიციპალური ტრანსპორტი, სკოლამდელი განათლება, ციფრული სერვისები და სხვა საკითხები.

ბოლოს, გამოვთქვამ რწმენას, საკრებულო უფრო გააქტიურებს საქმიანობას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. თითოეული ჩვენგანი მეტ პასუხისმგებლობას გამოიჩენს იმ მოვალეობათა შესრულების საქმეში, რომლებიც გვაკისრია ჩვენი ამომრჩევლების, თითოეული ჩვენი თანამოქალაქის წინაშე.

მადლობა ყურადღებისათვის!

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2023.11.08 17:24:08 +04'00'